აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 9/2006

26 დეკემბერი 2006 წ ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის № 4 დადგენილებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ ბ “ ქვეპუნქტისა და უმაღლეს საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის № 4 (გაზეთი „ აჭარა “ 23. 05. 06 № 91) დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ კ “ და „ ლ “ პუნქტები:

„ კ) წარმოადგენს უსკოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და სხვა პირებთა ურთიერთობისას.

ლ) ანიჭებს უფლებამოსილებას უსკოს წარმომადგენლობაზე სასამართლო, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას. “

მუხლი 2. მე-8 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ ზ “ ქვეპუნქტი:

„ ზ) კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური. “

მუხლი 3. მე-15 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინარსის 15^1 მუხლი:

„ მუხლი 15^1 კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური

კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური:

ა) უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებელ მუშაობას;

ბ) გეგმავს და ეტაპობრივად ახორციელებს არსებული კომპიუტერული ქსელის გაფართოებას, მასში საარჩევნო ოლქებისა და უბნების ჩართვის გზით;

გ) აყალიბებს მონაცემთა ბაზის შექმნის ერთიან კონცეფციას, ქმნის და ახორციელებს შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას და ავრცელებს მას ქვემდგომ კომისიებში;

დ) ასრულებს კომპიუტერული ტექნიკის მიმდინარე სარემონტო პროფილაქტიკურ სამუშაოებს;

ე) სხვა სამსახურებთან ერთად უზრუნველყოფს კომისიისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებას და კომპიუტერულ დამუშავებას;

ვ) ქმნის კომისიისათვის საჭირო სხვადასხვა მონაცემთა ბაზებს, ახდენს არსებულ მონაცემთა ბაზების, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებას და საჭიროების შემთხვევაში მათ მოდიფიცირებას;

ზ) უზრუნველყოფს კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოებას;

თ) ახორციელებს კომპიუტერული სისტემის კოორდინაციასა და ფუნქციონალურ უზრუნველყოფას;

ი) ახორციელებს პროგრამულ უზრუნველყოფას და შესაბამისი წინადადების მომზადებას პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესების თაობაზე;

კ) უზრუნველყოფს კომისიისათვის საჭირო მასალების სისტემატიზირებასა და შენახვას;

ლ) ასრულებს სხვა მოვალეობებს. “

მუხლი 4. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ № 30) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია